

სამართლებრივი ადვოკატთა ასოციაცია
GEORGIAN BAR ASSOCIATION

WWW.GBA.GE



GBA-Newsletter

ნოემბერი 2016

გიორგი მარგველაშვილი - ადვოკატებზე ნებისმიერ ზეწოლას განვიხილავ იმ ღირებულებებზე ზეწოლად, რომლის დაცვასაც კონსტიტუცია გვავალებს





საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ადვოკატის დღესთან დაკავშირებით საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას ეწვია და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მხარდაჭერით განახლებული და აღჭურვილი სასწავლო ცენტრი გახსნა.

პროექტი “იურიდიულ პროფესიაში შესვლის, ახალი სტანდარტების დანერგვის რეფორმის მატერიალურ ტექნიკური მხარდაჭერა”, რომელიც პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსდა, მიზნად ისახავს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ინსტიტუციურ განვითარებასა და ადვოკატის სავალდებულო სტაჟირების სისტემის დანერგვის ხელშეწყობას.

საქართველოს პრეზიდენტმა მაძლობა გადაუხადა ადვოკატთა ასოციაციისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს აღნიშნული პროექტის მხარდაჭერისა და განხორციელებისათვის და აღნიშნა, რომ ადვოკატთა სასწავლო ცენტრი ადვოკატთა კორპუსის გაძლიერებას ემსახურება, რომელთა გარეშეც შეუძლებელია ქვეყანაში შედგეს სამართლიანი საზოგადოება, სამართლიანი სასამართლო, შედგეს სამართლებრივი სახელმწიფო.

„ადვოკატის პროფესია, ძალიან ძლიერ მორალურ სიმტკიცეს მოითხოვს, რადგან თქვენ ითავისებთ ბრალდებულის პოზიციას და ცდილობთ საზოგადოებას და სახელმწიფოს დაუმტკიცოთ, რომ ყველა ბრალში არსებობს რაღაც გამამართლებელი პოზიცია.

თქვენ იცავთ სწორედ იმას, რის დაცვასაც საქართველოს კონსტიტუცია მეც მავალებს - ადამიანის უფლებებს. ყველა ადამიანის უფლებაა მიიღოს სამართლიანი სასამართლო.

თქვენ ბევრი რამე გადაიტანეთ. ჩვენ გვსმენია იმ ადვოკატების შესახებ, რომელთაც სისტემა ხშირად ძალიან ბრუტალურად ექცეოდა და გვსმენია იმის შესახებაც, როგორ მტკიცედ ერთიანდებოდით თქვენ მათ დასაცავად.

ეს ბუნებრივიცაა, რადგან საზოგადოებაში, რომელიც ვითარდება ხშირადაა გადაცდომები. მიხარია, რომ ის ადამიანები, რომელმაც საქართველოს მოქალაქეები უნდა დაიცვან, თავიანთი პროფესიული ცოდნის ნაწილს აქ, ამ სასწავლო ცენტრში მიიღებენ.

გარკვეულწილად, ის საქმე და თანამშრომლობა, რომელიც ჩვენს შორის შედგა დაეხმარება მათ ემსახურონ მთავარს - ჰუმანური და დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნას, რომელშიც ადამიანები სამართალზე დაყრდნობით აშენებენ ძლიერ სახელმწიფოს“, - აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა ადვოკატთა ასოციაციაში სიტყვით გამოსვლისას.

საქართველოს პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ დაუდასტურა ადვოკატთა კორპუსს მისი პატივისცემა და მხარდაჭერა.

„ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც რაიმე ტიპის ზეწოლა იქნება ადვოკატებზე, თავიანთი საქმიანობის განხორციელების პროცესში, მე განსაკუთრებით მხარს გიჭერთ, თქვენს გვერდით ვდგავარ და მზად ვარ გავაკეთო შესაბამისი პოლიტიკური განცხადებები, რადგან ჩვენ ერთ საქმეს ვაკეთებთ. ჩემი ფუნდამენტური პასუხისმგებლობა საქართველოს მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებების

დაცვაშია, რეალურად, ყოველდღიურობაში კი, ამას ახორციელებთ თქვენ და თქვენზე ნებისმიერ ზეწოლას, მე განვიხილავ იმ ღირებულებებზე ზეწოლად, რომელთა დაცვასაც მეც და თქვენც გვავალეს კონსტიტუცია“, - აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

სასწავლო ცენტრში სტუმრობისას გიორგი მარგველაშვილი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ ადვოკატის პროფესიის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ორდენით დააჯილდოვა.



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ ადვოკატის დღესთან დაკავშირებით კონფერენცია გამართა



8 ნოემბერს, ადვოკატის დღეს, სასტუმროში „ქორთიარდ მარიოტი“- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიღწევების, გამოწვევების და სამომავლო გეგმების შესახებ იმსჯელეს.

კონფერენციის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილმა, USAID-ის კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში პროექტის ხელმძღვანელმა (EWMI/PROLoG) გიორგი ჩხეიძემ და ევროკავშირის და გაეროს ერთობლივი პროექტის კოორდინატორმა რუსუდან ტუმურმა.

კონფერენციაზე ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილმა ისაუბრა

საქართველოში ადვოკატის პროფესიის თავისუფლებაზე და ადვოკატთა უფლებებზე; აღმასრულებელი საბჭოს წევრმა და საგანმანათლებლო საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა მონაწილეებს გაუზიარა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრში არსებული სიახლეები ადვოკატის გამოცდის, განგრძობადი იურიდიული განათლების, ეთიკის ონლაინ სწავლების და ახალი სასწავლო დარბაზების შესახებ; ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ქალბატონმა ციცინო ცხვედიანმა ისაუბრა ადვოკატთა პროფესიულ ეთიკაში არსებულ პრაქტიკაზე და მათ წინაშე მდგარ გამოწვევებზე. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრმა და საერთაშორისო მდივანმა დავით ასათიანმა მონაწილეებს გააცნო ასოციაციის მიღწევები საერთაშორისო ურთიერთობის კუთხით.

მოხსენებების დასრულების შემდეგ გაიმართა დისკუსია, სადაც კონფერენციის მონაწილეებმა გამოთქვეს მოსაზრებები მათთვის საინტერესო საკვანძო საკითხებთან დაკავშირებით.

კონფერენციას ესწრებოდნენ ადვოკატები, პარტნიორი საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების და იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები.

ადვოკატის დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია ყოველწლიურად იმართება და მას უკვე ბოლო რამდენიმე წელია მხარს უჭერს ევროკავშირი, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული აღმოსავლეთ-დასავლეთისმართვისინსტიტუტის (EWMI) პროგრამა „კანონისუზენაესობისმხარდაჭერასაქართველოში“ (PROLoG) და გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)



ადვოკატთა ასოციაციამ ადვოკატთა დამოუკიდებელი პროფკავშირებთან თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა



22 ნოემბერს, სასტუმროში „ვერე პალასი“, ადვოკატთა დამოუკიდებელი პროფკავშირების პრეზენტაცია გაიმართა.

ადვოკატთა პროფკავშირის ძირითადი და უმთავრესი მიზანია ადვოკატის პროფესიული ღირსების დაცვა, ამაღლება და განმტკიცება, საზოგადოებაში ადვოკატის ავტორიტეტის გაზრდა, ადვოკატთა სოციალური ინტერესების განხორციელება. ადვოკატთა თავისუფალი პროფესიის განვითარების ხელშეწყობა, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის განვითარება და სახელმწიფო ინსტიტუტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან კომუნიკაცია ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვისა და კანონის უზენაესობის უზრუნველყოფის მიზნით. პრეზენტაციაზე, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილმა განაცხადა: „მას შემდეგ, რაც ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე გავხდი, ჩემი ძირითადი საქმიანობა შემოისაზღვრა ადვოკატთა უფლებების დაცვით, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მარტო მიწევს ამის კეთება. რა თქმა უნდა, სჯობს, ჩემს გვერდით იდგეს დამოუკიდებელი პროფკავშირი, რომელიც ასოციაციასთან ერთად იბრძოლებს თითოეული ადვოკატის უფლებებისთვის. ჩვენ ერთად ბევრ კარგ საქმეს გავაკეთებთ“.

პრეზენტაციაზე ადვოკატთა ასოციაციასა და ადვოკატთა დამოუკიდებელ პროფკავშირებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

ადვოკატთა დამოუკიდებელი პროფკავშირები დაარსდა ადვოკატთა ადვოკატთა საერთო კრებაზე ადვოკატთა საინიციატივი ჯგუფის მიერ. ორგანიზაციის თავმჯდომარედ არჩეულია ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი, ადვოკატი გიორგი თევზაძე.

სასწავლო ცენტრი

2016 წლის ნოემბერში განხორციელებული საგანმანათლებლო ღონისძიებები

თბილისი:

- 1 ნოემბერი – ტრენერთა ტრენინგი თემაზე: ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის წინაღმდეგ.
- 1 ნოემბერი – ტრენერთა ტრენინგი თემაზე: ადვოკატთა როლი პირადი ცხოვრებისა და რელიგიის თავისუფლების ეფექტიან დაცვაში, განსაკუთრებით საზოგადოების მოწყვლადი ნაწილისათვის.
- 4–5 ნოემბერი – საერთაშორისო შრომითი სტანდარტები და საქართველოს შრომის კოდექსი.
- 7–8 ნოემბერი – ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები.
- 14–15 ნოემბერი – ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები.
- 15 ნოემბერი – ნაფიცი მსაჯულები.
- 16 ნოემბერი – ნაფიცი მსაჯულები.
- 16 ნოემბერი – საკუთრების სამართალთან დაკავშირებული საკითხები.
- 16–17 ნოემბერი – ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები.
- 17 ნოემბერი – საკუთრების სამართალთან დაკავშირებული საკითხები.
- 17–18 ნოემბერი – საქმის არსებითი განხილვა.
- 18 ნოემბერი – საკუთრების სამართალთან დაკავშირებული საკითხები.
- 20 ნოემბერი – ადამიანის უფლებათა დაცვის სამართლებრივი პროცედურები.
- 21–22 ნოემბერი – საქმის არსებითი განხილვა.
- 22 ნოემბერი – ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის სამართლებრივი რეგულაციები.
- 24 ნოემბერი – საკუთრების სამართალთან დაკავშირებული საკითხები.
- 24–25 ნოემბერი – საქმის არსებითი განხილვა.
- 25 ნოემბერი – საკუთრების სამართალთან დაკავშირებული საკითხები.
- 28 ნოემბერი – საკუთრების სამართალთან დაკავშირებული საკითხები.
- 28–29 ნოემბერი – ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები.
- 30 ნოემბერი – ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები.

ქუთაისი:

- 10 ნოემბერი – დაკავება და აღკვეთის ღონისძიებები.
- 11 ნოემბერი – ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის სამართლებრივი რეგულაციები.
- 13 ნოემბერი – ადამიანის უფლებათა დაცვის სამართლებრივი პროცედურები.
- 16 ნოემბერი – დაკავება და აღკვეთის ღონისძიებები.

ბათუმი:

- 21 ნოემბერი – დაკავება და აღკვეთის ღონისძიებები.

სასწავლო ცენტრი

2016 წლის დეკემბერში მიმდინარე და დაგეგმილი საგანმანათლებლო ღონისძიებები

თბილისი:

- 1 დეკემბერი – ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები.
- 1 დეკემბერი – ტრენინგი ტრენერთა უნარ-ჩვევებზე.
- 2 დეკემბერი – ტრენინგი ტრენერთა უნარ-ჩვევებზე.
- 2 დეკემბერი – საკუთრების სამართალთან დაკავშირებული საკითხები.
- 2–3 დეკემბერი – ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები.
- 3–4 დეკემბერი – ტრენინგი ტრენერთა უნარ-ჩვევებზე.
- 4 დეკემბერი – ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის სამართლებრივი რეგულაციები.
- 5–6 დეკემბერი – ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები.
- 5–6–7 დეკემბერი – არასწრულწლოვანთა მართლმსაჯულება.
- 6–7 დეკემბერი – მედიაცია.
- 7–8 დეკემბერი – ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები.
- 9 დეკემბერი – ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის სამართლებრივი რეგულაციები.
- 10 დეკემბერი – მოწმის დაკითხვის ახალი წესი.
- 10–11 დეკემბერი – მედიაცია.
- 10–11 დეკემბერი – ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები.
- 12 დეკემბერი – სამედიცინო დავების პრობლემური საკითხები.
- 12–13 დეკემბერი – ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები.
- 16 დეკემბერი – სამოქალაქო დავების განხილვის თავისებურებანი სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში.
- 19–20–21 დეკემბერი – ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და სტანდარტები.
- 23–24 დეკემბერი – მედიაცია.
- 26 დეკემბერი – პირადი ცხოვრების უფლების და რელიგიის თავისუფლების ეფექტური დაცვა.

ქუთაისი:

- 6–7 დეკემბერი – საქმის არსებითი განხილვა.
- 9 დეკემბერი – ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის სამართლებრივი რეგულაციები.
- 12–13 დეკემბერი – საქმის არსებითი განხილვა.

ბათუმი:

- 13 დეკემბერი – ეკონომიკური დანაშაული.
- 15–16 დეკემბერი – საქმის არსებითი განხილვა.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

ტელ: 555070786 / 555010605 / 555007708 ელ. ფოსტა: education@gba.ge / sascavlocentri@gba.ge

სამუშაო საათებია 10:00-დან 18:00 საათამდე / შესვენება 14:00-დან 15:00 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. #33/36

თბილისი

ძმ. ზუბალაშვილების ქ. N36

ტელ.: (+99532) 222 46 54

ელ. ფოსტა: info@gba.ge

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

ქუთაისი

ნოდარ დუმბაძის ქ. N8

ტელ.: (0431) 247 247

ელ. ფოსტა: info.qutaisi@gba.ge

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

თელავი

ვარდოშვილის 15

ტელ.: (0350) 272 015

ელ. ფოსტა: info.telavi@gba.ge

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

ბათუმი

სარაჯიშვილის ქ. 22

ტელ.: (0422) 29 29 02

ელ. ფოსტა: info.batumi@gba.ge

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი

ტელ: (+995 32) 2987878 / 555070786 / 555010605 / 555007708

ელ. ფოსტა: education@gba.ge / sascavlocentri@gba.ge

სამუშაო საათებია 10:00-დან 18:00 საათამდე

შესვენება 14:00-დან 15:00 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. #33